ზაურ კალოევის მეოცე გოლი

თბილისი. “ბურევესტნიკის” სტადიონი. 12 ოქტომბერი.

“დინამო” (თბილისი) _ “დაუგავა” (რიგა) 6:2 (4:0).

“დაუგავა”: ტუჩკუსი, სტრაუმე, სიმბირცევი, კოლიანონი, ხუნდაძე, გრიშინი, ულმანისი, ლატინცევი, სმირნოვი, ქვლივიძე, მარტინოვი.

“დინამო”: კოტრიკაძე, სიჭინავა, თორაძე, ჩოხელი, ზეინკლიშვილი, დათუნაშვილი, მელაშვილი, ბარქაია, კალოევი, ჟორდანია, მესხი.

მსაჯი ა. ტაბაკოვი (მოსკოვი).

ანგარიში 6:2 ნათლად მეტყველებს ძალთა თანაფარდობაზე და კომენტარებს არ საჭიროებს, მაგრამ არ შეიძლება რამდენიმე სიტყვა არ ვთქვათ დინამოელებზე, რომლებმაც საკუთარ მოედანზე ამ ჩემპიონატის უკანასკნელი მატჩი ჩაატარეს.

ფეხბურთის მატჩის რეცენზიებში როცა ქება-დიდებას ასხამენ გოლის ავტორებს, მაშინ ავიწყდებათ ისინი, ვინც თავიანთი თავდაუზოგავი თამაშით ქმნიან გოლის მომენტებს. ამ დღეს ასეთები იყვნენ მცველი ბ. სიჭინავა და მარცხენა გარემარბი მ. მესხი. მ. მესხი გუშინდელ მატჩში ყოველ მომენტში გამარჯვებული გამოდიოდა მცველებთან ბრძოლაში, სიჭინავამ კი გამოავლინა მცველის შესანიშნავი თვისებები. იგი ნამდვილად უძლიერესი იყო პარტნიორთა შორის. ორი წამყვანი მოთამაშის _ ღოღობერიძისა და იამანიძის არყოფნის მიუხედავად, გუნდში არ იგრძნობოდა სუსტი ადგილი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ახალ როლში გამოსულ ჩოხელისა და ხანგრძლივი შესვენების შემდეგ დაბრუნებულ თორაძის რამდენიმე შეცდომას, რასაც მოჰყვა ორი გოლის გაქვითვა.

განვლილ სამ მატჩში რიგელებმა ოთხი ქულა “წაართვეს” დინამოელებს და როგორც ჩანს, არც ამჯერად სურდათ ტრადიციის დარღვევა. ამ მიზნით ნახევარმცველებმა თავი აარიდეს მოწინააღმდეგის კარის მისადგომების იერიშებს, უკან იყო დაწეული შუამარბებიც. ასეთი მჭიდრო ზონის მიუხედავად თბილისელები ზედიზედ ქმნიდნენ სახიფათო მომენტებს. და აი, შესანიშნავი დრიბლინგის მერე მესხის უძლიერესი დარტყმის მოგერიებაში ტუჩკუსს ჯერ ძელი დაეხმარა, ხოლო სიჭინავამ ოდნავ დააცილა კარს. თუმცა მალე მომწიფდა გოლის გატანის დრო. მე-13 წუთზე მელაშვილის მიერ კარის გასწვრივ ჩაწოდებულ ბურთს მიუსწრო ჟორდანიამ და ანგარიში გახსნა _ 1:0. მეორე გოლის თანაავტორი მესხი გახლდათ, როცა მის მიერ 21-ე წუთზე ძლიერად დარტყმული ბურთი ხელით დაიჭირა სტრაუმემ. 11-მეტრიანი საჯარიმო ზუსტად გაიტანა კალოევმა. შესვენებამდე კიდევ ორი გოლი გაიტანეს თბილისელებმა. ჯერ მელაშვილის ძლიერად დარტყმული ბურთი გაეხვია მარჯვენა დაბალ კუთხეში, ხოლო შემდეგ იმავე ადგილზე ძნელი მდგომარეობიდან შესანიშნავი დარტყმით კალოევმა მეოთხედ აიძულა რიგელები თამაში დაეწყოთ ცენტრიდან.

შესვენების შემდეგ სტუმრებმა შეცვალეს თამაშის ტაქტიკა. მათ დასაკარგი აღარაფერი ჰქონდათ და მშრალი ანგარიშისაგან გადარჩენის მიზნით ნახევარმცველები (ხუნდაძე და გრიშინი) ჩაებნენ თბილისელთა კარის უშუალო იერიშებში.

მხოლოდ ამის შემდეგ აუღეს ალღო თბილისელებმა რიგელთა ტაქტიკურ ჩანაფიქრს, თვითონაც გადააწყვეს თამაში და კვლავ ხელთ იგდეს ინიციატივა. მეორე ნახევრის 29-ე წუთზე მელაშვილმა, რომელიც ისე როგორც წინა შეხვედრებში საკმაოდ აქტიურობდა, კარგად დაამუშავა ბურთი, გადააწოდა კალოევს, ამ უკანასკნელმა ჟორდანიას და ანგარიში გახდა 5:2.

ამ მატჩში მეექვსე და ჩემპიონატში თავისი მეოცე გოლი გაიტანა თბილისელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა კალოევმა მელაშვილისა და მესხის მიერ გათამაშებული კომბინაციის შემდეგ.

ო. გელაშვილი
“ლელო”, 13 ოქტომბერი, 1960 წ.